## *ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1*

ქ. ვანი 22.10.2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვარლამ შარაშენიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

მამუკა ნამიჭეიშვილი - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, წევრი.

გიორგი ნამიჭეიშვილი - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ბესარიონ ახვლედიანი - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, წევრი.

დავით გაბუნია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

მარინა ლეინიანიძე - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით შესყიდვის ობიექტების:*

- ამაღლების თემში გზის დაზიანებული საფარის აღდგენა დანგრეული ხიდიდან სამხრეთით ჭოკიანის გადასახვევამდე
- ამაღლების თემში რიყამაძეების უბანში მისასვლელი გზის შეკეთება
- ამაღლების თემში ამაღლება–ინაშაურის მისასვლელი გზის შეკეთება
- ამაღლების თემში ამაღლება–ინაშაური–საპრასიის საავტომობილო გზის შეკეთება
- ამაღლების თემში ასათიანი–მხეიძის სახლთან მისასვლელი გზის შეკეთება
- ამაღლების თემში ალპურ საძოვრებზე მისასვლელი გზის გაწმენდა
- ამაღლების თემში ნატანისაგან ტერიტორიის გაწმენდა

*შესასრულებელ სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.*

*მოისმინეს:* საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა ნამიჭეიშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს კონკურსის ჩატარების შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

დაადგინეს:

1) დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წარმოდგენილი განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. გიორგი ნამიჭეიშვილი
2. მამუკა ნამიჭეიშვილი
3. ბესარიონ ახვლედიანი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრები:

1. მარინა ლვინიანიძე